



## საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს

### შინაგან საქმეთა სამინისტროს

### აკადემიის რექტორის

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№2217143

15 სექტემბერი 2017

#### სსიპ – საქართველოს შსს აკადემიაში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად კანდიდატთა ტესტირებისა და გასაუბრების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 17 დეკემბრის N987 ბრძანებით დამტკიცებული სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის N975 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ , „გ“ და „მ“ ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და „სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის მოვალეობის შესრულების დროებით დაკისრების შესახებ“ სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს N1950577 ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს “სსიპ – საქართველოს შსს აკადემიაში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად კანდიდატთა ტესტირებისა და გასაუბრების ჩატარების წესი” (შემდგომში - წესი) დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში ტესტირებისა და გასაუბრების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2013 წლის 16 იანვრის N16 ბრძანება.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.policeacademy.gov.ge](http://www.policeacademy.gov.ge)).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს უფროსის - ირინა აბრამიშვილის 2017 წლის 22 აგვისტოს N2015268 და 7 სექტემბრის N2147931 სამსახურებრივი ბარათები და სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის ხელმძღვანელობის განკარგულება.

**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი  
პოლიციის პოლკოვნიკი**

**გამოყენებულია ელექტრონული  
ხელმოწერა**

**ივანე პაპიაშვილი**

**დამტკიცებულია**

**სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის  
2017 წლის 15 სექტემბრის N2217143 ბრძანებით**

**სსიპ – საქართველოს შსს აკადემიაში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამის გასავლელად კანდიდატთა ტესტირებისა და გასაუბრების  
ჩატარების წესი**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

წინამდებარე წესი ადგენს სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად კანდიდატის ტესტირებისა და გასაუბრების ჩატარების წესსა და პირობებს "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად კანდიდატთა ტესტირებისა და გასაუბრების გამსვლელი ბარიერის დადგენის შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 17 დეკემბრის N1/582 ბრძანებით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

**მუხლი 2. ტესტირებისა და გასაუბრების მიზანი**

2.1. ტესტირებისა და გასაუბრების მიზანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) მისაღები პირებისაგან სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად კანდიდატთა შერჩევა.

2.1.1. ტესტირების მიზანია კანდიდატის ინტელექტისა და ზოგადი უნარების შემოწმება.

2.1.2. გასაუბრების მიზანია კანდიდატის პიროვნული თვისებებისა და მომავალი პროფესიული საქმიანობისას განსახორციელებელ ფუნქციებთან მისი შესაბამისობის დადგენა.

**მუხლი 3. ტესტირების და გასაუბრების ორგანიზება**

3.1. ტესტირების ორგანიზებას და ჩატარებას უზრუნველყოფს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილება.

3.2. სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებიდან კანდიდატთა სიების წარმოდგენის შემდეგ, სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილება ტესტირების ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.policeacademy.gov.ge](http://www.policeacademy.gov.ge)) აქვეყნებს ინფორმაციას ტესტირების ჩატარების თარიღის შესახებ.

3.3. გასაუბრება ტარდება ტესტირების საბოლოო შედეგის დადგომიდან გონივრულ ვადაში.

3.4. ტესტირებისა და გასაუბრების საკითხების შესახებ ზოგად ინფორმაციას სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილება გადასცემს აკადემიის ადმინისტრაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებას აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.policeacademy.gov.ge](http://www.policeacademy.gov.ge)) გამოსაქვეყნებლად.

#### **მუხლი 4. ტესტირება**

4.1. ტესტირება ტარდება წერითი ან ელექტრონული ფორმით.

4.2. ტესტირებისათვის კითხვების შემუშავებას/შერჩევას უზრუნველყოფს აკადემია.

4.3. ტესტი შედგება 130 კითხვისაგან (ამოცანისაგან). მათ შორის, 64 კითხვა ზოგადი უნარების, ხოლო 66 კითხვა ინტელექტის შემოწმებისათვის.

4.4. ზოგადი უნარების შესამოწმებელი კითხვის სწორი პასუხი ფასდება 1 (ერთი) ქულით, არასწორი პასუხი - 0 (ნული) ქულით, მაქსიმუმ 64 ქულით.

4.5. ინტელექტის შესამოწმებლად გამოყენებული იქნება შესაბამისი სამიზნე ჯგუფისათვის შემუშავებული კითხვარი, რომლის მაქსიმალური ქულაა 156 (ასორმოცდათექვსმეტი).

4.6. კანდიდატის შეფასების მაქსიმალური ქულა მოიცავს ამ მუხლის 4.4. და 4.5. პუნქტებით განსაზღვრული კომპონენტების შეფასებათა ჯამს, რაც შეადგენს 220 ქულას. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატს ტესტირება გავლილად ეთვლება, თუ იგი ჯამურად დააგროვებს მინიმუმ 110 ქულას.

4.7. ტესტირება გრძელდება ორი ასტრონომიული საათისა და ოცდაათი წუთის განმავლობაში. დროის ამოწურვის შესახებ დამკვირვებელი სამჯერ აცნობებს კანდიდატებს. პირველად, დროის დასრულებამდე ერთი ასტრონომიული საათით ადრე, მეორედ - ოცდაათი წუთით ადრე, ხოლო მესამედ - თხუთმეტი წუთით ადრე.

4.8. ტესტირების შედეგები აისახება ტესტირების შეფასების უწყისში (დანართი N1) და ინახება სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილებაში.

4.9. აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.policeacademy.gov.ge](http://www.policeacademy.gov.ge)) გამოქვეყნების მიზნით, სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილება ტესტირების შედეგებს გადასცემს აკადემიის ადმინისტრაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებას ტესტირების საბოლოო შედეგის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

#### **მუხლი 5. გასაუბრების კომისია**

5.1. აკადემიის რექტორი, სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტთან და სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან შეთანხმებით, წინასწარ, ერთობლივად შერჩეულ პირთა წრიდან, ბრძანებით ამტკიცებს გასაუბრების კომისიას (შემდგომში - კომისია).

5.2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 (სამი) ან 5 (ხუთი) წევრით (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე) და კომისიის მდივნით. კომისიის მდივანი (პროფესიული მომზადების სამმართველოს მოსამსახურე) არ სარგებლობს კომისიის წევრის უფლებამოსილებით. კომისია გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება კენტი შემადგენლობა, მაგრამ არა კომისიის ერთი წევრი. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კანდიდატის შეფასების ფურცლებში ასახული შედეგების დაჯამების საფუძველზე.

5.3. კომისიის თითოეული წევრი კანდიდატს აფასებს ინდივიდუალურად. კომისიის წევრი შეფასების შედეგებს ასახავს შეფასების ფურცელში (დანართი N2) და ადასტურებს ხელმოწერით. კომისიის წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს კანდიდატის შეფასებისაგან.

5.4. კომისიის წევრი ვალდებულია გასაუბრების ეტაპის დასრულების შემდეგ, ხელმოწერილი შეფასების ფურცელი პირადად ჩააბაროს კომისიის მდივანს. კომისიის წევრი უფლებამოსილია, კომისიის მდივანს მოსთხოვოს მის მიერ შევსებული შეფასების ფურცლის ასლის გადაცემა.

5.5. კომისიის წევრი ვალდებულია გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ (დანართი N3) თუ ის:

ა) არის მისაღები კანდიდატის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;

ბ) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

**შენიშვნა:** ამ ბრძანების მიზნებისათვის, ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე და შვილი/ნაშვილები, ხოლო ახლო ნათესავად: მშობელი/მშვილებელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, მინდობით აღსაზრდელი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი, გერი, ყოფილი მეუღლე (განქორწინებული).

5.6. განცხადება თვითაცილების თაობაზე კომისიის წევრმა უნდა გააკეთოს იმ მომენტში, როცა მისთვის ცნობილი გახდა თვითაცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. კომისიის წევრის მიერ თვითაცილების თაობაზე განცხადების გაკეთების შემთხვევაში, კანდიდატი გასაუბრებას გაივლის კომისიის სხვა შემადგენლობასთან, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს აკადემიის რექტორი.

## **მუხლი 6. გასაუბრება**

6.1. გასაუბრებაზე კანდიდატი დაიშვება, თუ მან წარმატებით გაიარა ტესტირება.

6.2. გასაუბრების კომისიის მიერ, კანდიდატი ფასდება დანართი N4-ის მიხედვით.

6.3. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის მუშაობისა და საბოლოო შედეგების ამსახველ ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მუშაობაში მონაწილე ყველა წევრი და კომისიის მდივანი.

6.4. აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.policeacademy.gov.ge](http://www.policeacademy.gov.ge)) გამოქვეყნების მიზნით, სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილება გასაუბრების შედეგებს გადასცემს აკადემიის ადმინისტრაციის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებას გასაუბრების საბოლოო შედეგის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

## **მუხლი 7. საჩივრის განხილვის წესი**

7.1. ტესტირების/გასაუბრების შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, კანდიდატი დასაბუთებული წერილობითი საჩივრით მიმართავს აკადემიის რექტორს ტესტირების/გასაუბრების შედეგების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. დაუსაბუთებელი საჩივარი არ განიხილება.

7.2. ტესტირების შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივარს განიხილავს აკადემიის რექტორის მიერ უფლებამოსილი პირი, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში. საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის რექტორი.

7.3. გასაუბრების შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში, რექტორი ბრძანებით განსაზღვრავს კომისიის სხვა შემადგენლობას ამ წესის მე-5 მუხლის 5.1. და 5.2. პუნქტებით დადგენილი წესით. კომისიას თავმჯდომარეობს აკადემიის რექტორი.

7.4. საჩივრის განმხილველი კომისია გონივრულ ვადაში იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

7.5. კომისიის მდივანი ადგენს საჩივრის განმხილველი კომისიის მუშაობისა და გადაწყვეტილების ამსახველ ოქმს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მუშაობაში მონაწილე ყველა წევრი და კომისიის მდივანი.

7.6. კანდიდატი, შესარჩევი ეტაპების გავლას შეძლებს საჩივარზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად.

## **მუხლი 8. დასკვნითი დებულებები**

8.1. სწავლების ადმინისტრირების და მონიტორინგის განყოფილება უზრუნველყოფს სამინისტროს ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში ელექტრონული ფორმით ტესტირებისა და გასაუბრების შესახებ ინფორმაციის ასახვას.

----- 2017წ. ბრძანებით

ტესტირების შეფასების უწყისი

	---.---.--- (თარიღი) ---:(სთ) --- (აუდიტორია) სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ზოგადი უნარი	IQ	ჯამი	ხელმოწერა
1						
2						
3						
4						
5						
6						
7						
8						
9						
10						
11						
12						
13						
14						
15						

დამკვირვებლის ხელმოწერა \_\_\_\_\_

----- 2017წ. ბრძანებით

შეფასების ფურცელი  
(გასაუბრების ეტაპი)

კომისიის წევრი \_\_\_\_\_  
(სახელი და გვარი)

N	კანდიდატის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	დაბადების თარიღი	შეფასება	
1.				+	-
2.				+	-
3.				+	-

შენიშვნა:

---

---

---

---

---

კომისიის წევრი

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(თარიღი)



----- 2017წ. ბრძანებით

კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები

1. **ზოგადი პიროვნული მახასიათებლები/ემოციური მდგრადობა** – კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის ზოგად პიროვნულ მახასიათებლებს. ამასთანავე, ფასდება ემოციური გაწონასწორებულობა, რომელიც თავის მხრივ ფასდება გასაუბრების განმავლობაში კანდიდატის მიერ საკუთარი თავის ფლობით. შეფასება შესაძლებელია საუბრის მანერაზე და სხეულის ენაზე დაკვირვებით.

2. **განათლება/ინფორმირებულობა** - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის მიერ მიღებული განათლების შესაბამის ცოდნას. აღნიშნული კრიტერიუმით იკვეთება კანდიდატის დამოკიდებულება განვლილი სასწავლო პროცესების მიმართ. ამ კრიტერიუმით ასევე დგინდება ქვეყანაში და გლობალურად მნიშვნელოვანი და აქტუალური მოვლენების შესახებ ინფორმირებულობა.

3. **მოტივაცია** – კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის მოტივირებულობას. პარამეტრის შეფასება ხდება კანდიდატის ინფორმირებულობისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების შეფასებით.

4. **კეთილსინდისიერება** – კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის გულახდილ საუბარს. აღნიშნული კრიტერიუმის შეფასება შესაძლოა მოხდეს საუბრის მანერიდან, მოწოდებული ინფორმაციის შინაარსიდან.

5. **ლოგიკური/არგუმენტირებული მსჯელობის უნარი** – კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის მხრიდან არგუმენტირებული საუბრისა და სიტუაციის შეფასებისა და საკუთარი მოსაზრებების ლოგიკურად ჩამოყალიბების უნარს. აღნიშნული კრიტერიუმი შესაძლოა შეფასდეს სიტუაციური მაგალითის მოყოლით და მისი ანალიზით, ან/და კანდიდატის მხრიდან ისეთი სიტუაციის გახსენებით, სადაც აღნიშნული უნარი გამოვლინდა.

6. **კანდიდატის შესაბამისობა პოლიციის საქმიანობასთან** - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის დამოკიდებულებას სამართალდამცავი დაწესებულებების საქმიანობასთან. აგრეთვე, აღნიშნული კრიტერიუმი შესაძლებელია შეფასდეს გარკვეული კითხვის დასმით, თუ როგორ მოიქცეოდა კანდიდატი კონკრეტული სიტუაციიდან ან დავალებიდან გამომდინარე.

7. **კანდიდატის მიერ არჩეული სამომავლო საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმირებულობა** - კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის ზოგად ცოდნას მის მიერ არჩეული სამომავლო საქმიანობის სფეროს შესახებ. აღნიშნული კრიტერიუმი ფასდება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული გასაუბრების საკითხების ცოდნის დონის შესაბამისად.



8. ღირებულებები და ინტერესები – კრიტერიუმი აფასებს კანდიდატის ღირებულებების და ინტერესების სფეროს.

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმის შეფასება ხდება შემდეგი სახით	შეფასების საშუალება
1	ზოგადი პიროვნული მახასიათებლები / ემოციური მდგრადობა	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კანდიდატი საუბრობს საკუთარი პიროვნული მახასიათებლების შესახებ;</li> <li>➤ კანდიდატი საუბრობს ადრეულების გარეშე;</li> <li>➤ კანდიდატი სხეულის ერთ გამოხატავს ემოციურ გაწონასწორებულობას;</li> <li>➤ კითხვებზე პასუხობს დამაბულობის გარეშე.</li> </ul>	ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაზე დაკვირვება
2	განათლება/ ინფორმირებულობა	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კანდიდატი საუბრობს მის მიერ მიღებული ცოდნისა და სწავლის პერიოდში მიღწევების შესახებ;</li> <li>➤ კანდიდატის ცოდნის შესაბამისად დასმულ კითხვებზე შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობა;</li> <li>➤ კანდიდატს შეუძლია ისაუბროს მნიშვნელოვან და აქტუალურ მოვლენებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ</li> </ul>	დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხების შეფასება
3	მოტივაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კანდიდატი არგუმენტირებულად აყალიბებს თუ რატომ აქვს სურვილი დაიწყოს მუშაობა შსს-ს დანაყოფში;</li> <li>➤ ასაბუთებს საკუთარი გადაწყვეტილების მართებულობას;</li> <li>➤ მოიძია ინფორმაცია და განმარტავს არჩეული დანაყოფის სამუშაო სპეციფიკას.</li> </ul>	მის მიერ გავლილი ცხოვრება/ კითხვები/სიტუაციის ანალიზი
4	კეთილსინდისიერება	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კანდიდატი საუბრობს გულახდილად;</li> <li>➤ კანდიდატის მსჯელობები არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ დეტალებს;</li> <li>➤ გულახდილია საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებისას.</li> </ul>	ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაზე დაკვირვება
5	ლოგიკური/არგუმენტირებული მსჯელობის უნარი	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ლოგიკურად;</li> <li>➤ ყურადღებით ისმენს კითხვას, საჭიროების შემთხვევაში აზუსტებს დავალებას და ასაბუთებს თავის მოსაზრებას;</li> <li>➤ საუბრობს შინაარსობრივად გამართულად და დასმულ კითხვას ზუსტად სცემს პასუხს.</li> </ul>	კითხვები/ სიტუაციის ანალიზი/ ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციაზე დაკვირვება
6	კანდიდატის შესაბამისობა პოლიციის საქმიანობასთან	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ საკუთარ დამოკიდებულებას პოლიციის საქმიანობასთან და მისწრაფებას გახდეს პოლიციის კონკრეტული დანაყოფის მოსამსახურე ლოგიკურად უკავშირებს ერთმანეთს.</li> </ul>	ვერბალური ნაწილის შინაარსზე და არავერბალურ კომუნიკაციასა და მის გარეგნულ ნიშან-თვისებებზე დაკვირვება

7	კანდიდატის მიერ არჩეული სამომავლო საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმირებულობა	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დასმულ კითხვაზე კანდიდატმა უნდა ჩამოთვალოს მის მიერ არჩეული სტრუქტურული ქვედანაყოფის ძირითადი ფუნქციები და გამიჯნოს იგი სხვა ქვედანაყოფის ფუნქციებისაგან.</li> <li>➤ კანდიდატმა უნდა იცოდეს აკადემიის საიტზე განთავსებული გასაუბრების საკითხები</li> </ul>	კითხვების დასმა კონკრეტული ქვედანაყოფის ფუნქციების შესახებ და პასუხების შეფასება
8	ღირებულებები და ინტერესები	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დასმულ კითხვაზე კანდიდატი ჩამოთვლის მისი ინტერესების სფეროს;</li> <li>➤ კომისიის წევრის დამაზუსტებელ კითხვაზე კანდიდატი ერთუზიანობით გადმოსცემს ინფორმაციას, ცოდნას და მიგნებებს კონკრეტულ სფეროში.</li> </ul>	დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხების შეფასება

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის ბრძანება 25.09.2017 N2300742
2. რექტორის ბრძანება 09.07.2018 N1630813
3. რექტორის ბრძანება 13.03.2019 N643904
4. რექტორის ბრძანება 22.03.2019 N738328